

## **აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე**

**ნაზი ფარსადანიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ანასტასია ქიტიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია აღქმული სტიგმის კონსტრუქტი, ქართულ პოპულაციაში სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის სკალის შექმნის ეტაპები და შედეგები. სკალაში გამოყენებული დებულებების უმეტესობა ეფუძნება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებს. დებულებების ექსპერტული შეფასების შემდეგ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 263-მა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქემ. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის სკალაში, პრინციპული კომპონენტების ფაქტორული ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ორი ფაქტორი: ნეგატიური მოპყრობის აღქმა (9 დებულება,  $\alpha=.87$ ) და ინტერნალიზებული სტიგმა (8 დებულება,  $\alpha=.81$ ). მთლიანი სკალის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (17 დებულება,  $\alpha=.89$ ). ლარიბულად ცხოვრებასთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის სხვა საზომისაგან განსხვავებით, სკალაში შევიტანეთ აღქმული სტერეოტიპებისადმი თანხმობის ამსახველი დებულებებიც, რომლებიც სტიგმის ინტერნალიზების განზომილებაში გაერთიანდა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ, აღქმული სტიგმის შესახებ არსებული სხვა თეორიული და ემპირიული კვლევებისაგან განსხვავებით, სამომავლო სტიგმატიზაციის შიში, შესაძლოა ნეგატიური მოპყრობის აღქმის ფაქტორში მოექცეს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმა კონცეპტუალურად აერთიანებს სტიგმის როგორც ახლანდელ და წარსულ გამოცდილებას, ისე მომავალში წინასწარ განჭვრეტილ სტიგმატიზაციასაც. კვლევას ის ზღუდავდა, რომ, ახსნითი ფაქტორული ანალიზის სტატისტიკური ოპერაციის გარდა, არაა მოცემული კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის შედეგები.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმა, ნეგატიური მოპყრობის აღქმა, სტიგმის ინტერნალიზება.

სიღარიბის განსაზღვრებისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს, მისი ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე. 1995 წელს კოპენჰაგენში ჩატარებული სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის ფარგლებში მიიღეს და დამტკიცეს სიღარიბის მრავალგანზომილებიანი განსაზღვრება. ამ უკანასკნელის მიხედვით, სიღარიბე აღიწერება სხვადასხვა სახის ერთმანეთთან დაკავშირებული დეპრივაციის ტერმინით და აქცენტი დაისმის სიღარიბესთან დაკავშირებულ სტიგმაზე, დისკრიმინაციაზე, დაუცველობასა და სოციალურ ექსკლუზიაზე (United Nations, 1995). თუმცა, ზოგადად, სიღარიბის ანალიზისას ნაკლებად ესმება ხაზი მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებს, რადგან მათი გაზომვა რთულია. მათი ემპირიულად შესწავლის სირთულის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია სიღარიბის არამატერიალური განზომილებების კვლევა და შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უგულებელყოფილი რჩება სიღარიბის განსაზღვრებებსა და აღწერებში გამოყოფილი ისეთი ფენომენები, როგორებიცაა სტიგმა, სოციალური ექსკლუზია, და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები. ამას კი შეიძლება ის მოჰყვეს, რომ მხოლოდ მატერიალურ დახმარებაზე გამიზნული ინტერვენციები ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არასაკმარისი იყოს. ამ ეტაპზე საქართველოში ფუნქციონირებს ფულადი სოციალური დახმარების პროგრამა/საარსებო შემწეობა, რომელსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ადამიანები იღებენ. ისინი სოციალურად დაუცველთა სახელწოდებით არიან ცნობილი და დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონეთა საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან. საქართველოში ამ ჯგუფის ფსიქოსოციალური მახასიათებლების შესახებ მონაცემები მწირია. ამიტომ მოცემული კვლევა ღარიბულად მცხოვრები ადამიანების გამოცდილების სიღრმისეულად შესწავლის დაწყების გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია.

უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეებში სტიგმის აღქმასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და განცდების შესწავლა და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის საზომი ინსტრუმენტის შექმნა.

## სტიგმის აღქმა და მისი ინტერნალიზება

სტიგმას განსაზღვრავენ როგორც დევიანტური, სოციალური ნორმებიდან გადახრილი მახასიათებლის ქონას, რომელიც მკვეთრად დისკრედიტებულია. ის ადამიანს სხვებისაგან განსხვავებულს და ნაკლებად სასურველს ხდის (Goffman, 1963); სტიგმის შესახებ არსებულ დეფინიციათა უმეტესობას შემდეგი ორი საერთო ელემენტი ახასიათებს: უწინარესად, ისინი აღნიშნავენ იმას, რომ მასტიგმატიზებული ნიშანი განსხვავდება იმისაგან, რაც საზოგადოებაში „ნორმად“, „მიღებულად“ ითვლება. მეორე: ჩვეულებრივ, სტიგმის განმსაზღვრელ მახასიათებელთან სხვა სტერეოტიპებიცაა დაკავშირებული. გოფმანი (1963) საკმაოდ ცხადად აღნიშნავს, რომ სტიგმის არსებობა გულისხმობს გამაუფასურებელი ატრიბუტისა და სტერეოტიპების ურთიერთქმედების პროცესს. სტიგმა ნეგატიურ გავლენას ახდენს სამიზნის ხატზე. მსგავს აზრს გამოთქვამს ჯოუნსიც, როდესაც აღნიშნავს, რომ სტიგმატიზაციისას

იგულისხმება მასტიგმატიზებელ ნიშანთან ასოცირებული ნეგატიური შეფასებებისა და სტიეროტიპების არსებობა (Jones et al. 1984). სტიგმატიზაცია ხდება სოციალური ურთიერთობებისას. ის შეიძლება ძალიან აშკარად გამოიხატოს ისეთი ქმედებებით, როგორებიცაა ურთიერთობისათვის თავის არიდება, სოციალური უარყოფა, დისკრედიტაცია, დეჰუმანიზაცია და დეპერსონალიზაცია (Dovidio et al., 2000; Herek, 1999). ამასთან ერთად, სტიგმამ შეიძლება იჩინოს თავი მსუბუქ და ძნელად შესამჩნევ ფორმებშიც. მაგალითად, არავერბალური კომუნიკაციის არხებით (Hebl, Tickle & Heatherton, 2000).

ტრადიციულად, სტიგმა განისაზღვრებოდა უფრო მეტად მასტიგმატიზებლების პერსპექტივიდან, და არა თავად სტიგმატიზებულის აღქმებზე დაყრდნობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აუცილებელი სულაც არ არის, საზოგადოების მიერ სტიგმატიზებული ინდივიდები სტიგმას ისე ინტენსიურად განიცდიდნენ, როგორც ეს მოსალოდნელია. ამიტომ ბოლო დროს უფრო აქტიურად შეისწავლიან აღქმული სტიგმის ცნებას. კვლევები ადასტურებს, რომ, საზოგადოების მიერ გამოხატული სტიგმის ინტენსივობის მიუხედავად, მარგინალიზებული ჯგუფის წევრები სტიგმის აღქმის თავისებურებებით შესაძლოა საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ (Corrigan & Calabrese, 2005; Crandall, 1991). აღქმული სტიგმის შესახებ კვლევებში ხაზი ესმება აზრს იმის შესახებ, რომ თითოეულ ინდივიდს შეიძლება აღენიშნებოდეს სტიგმისადმი სენსიტიურობის სხვადასხვა დონე (სტიგმისადმი სენსიტიურობა ნიშნავს იმას, თუ რამდენად ზემოქმედებს სტიგმა იდენტობაზე) (Major and O'Brien, 2005).

სტიგმის აღქმისა და პიროვნებაზე მისი ზეგავლენის პროცესის გაანალიზება შესაძლებელია პრიორისა და რიიდერის მიერ შემუშავებულ მოდელში გამოყოფილი სტიგმის ამ ორ ტიპის ურთიერთქმედებით: პირველია საჯარო სტიგმა (public stigma), რომელიც გულისხმობს საზოგადოების რეაქციას მასტიგმატიზებული მახასიათებლის მქონე ადამიანებზე. ის აერთიანებს აღმქმელების კოგნიტიურ, აფექტურ და ქცევით რეაქციებს. პრიორისა და რიიდერის მოდელში შემოთავაზებული სტიგმის მეორე სახე კი თვითსტიგმაა (self-stigma). ეს უკანასკნელი უკვე ასახავს იმ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებს, რომლებიც სტიგმის სამიზნეა. აქ იგულისხმება როგორც სტიგმატიზაციის სამიზნედ ყოფნის შესახებ ცოდნა, ისე სტიგმასთან დაკავშირებული ნეგატიური რწმენებისა და განცდების ინტერნალიზება. თვითსტიგმის ამოსავალია საჯარო სტიგმა. ავტორების მიხედვით, სტიგმა თვითობაზე შესაძლოა სამგვარად ზემოქმედებდეს: 1) მოქმედებით გამოხატული სტიგმა (enacted stigma), რაც გულისხმობს სტიგმატიზებული ადამიანის ნეგატიურ მოპყრობას; 2) განცდილი სტიგმა (felt stigma) - სტიგმატიზებული პირის მიერ სტიგმატიზაციის გამოცდილების გაცნობიერება და სამომავლოდ წინასწარ განჭვრეტა; 3) ინტერნალიზებული სტიგმა - საზოგადოების მიერ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულებების მიღება, მისი თვითობის/სელფის ნაწილად გადაქცევა და პიროვნული ღირებულების მინიჭება, რასაც თან ახლავს თვითღირებულების შემცირება და ფსიქოლოგიური დისტრესი (Herek, 2007; 2009).

სანამ უფრო დეტალურად განვიხილავთ სტიგმის აღქმისა და ინტერნალიზების პროცესს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღქმული სტიგმისა და მისი შემადგენელი ასპექტების შესახებ ცალსახა განსაზღვრებები არ არსებობს. მაგალითად, ზოგჯერ აღქმული სტიგმა თვითსტიგმასთანაა გაიგივებული, ზოგჯერ

კი ინტერნალიზებული სტიგმაა თვითსტიგმის სახელწოდებით მოხსენიებული. მაგალითად, ჰერეკის, გილის, კოგანის და სხვების (Herek GM, Gillis JR, Cogan JC, Peilian Chi, Xiaoming Li, Junfeng Zhao, and Guoxiang Zhao) მიერ გამოყოფილი სტიგმის სახეებში ინტერნალიზებული სტიგმა სწორედ თვითსტიგმის სახელითაა (self-stigma) ცნობილი. ავტორების მიერ იდენტიფიცირებული დანარჩენი ორი ტიპის სტიგმა კი არის მოქმედებით გამოხატული სტიგმა (enacted stigma) და აღქმული სტიგმა. მოქმედებით გამოხატული სტიგმა ისეა დახასიათებული, როგორც პრიორისა და რიიდერის ზემოთ აღწერილ მოდელში. აღქმული სტიგმა კი თავისი შინაარსით განცდილ (felt stigma) სტიგმას უტოლდება. კერძოდ, ავტორები აღქმულ სტიგმად გულისხმობენ სტიგმის სუბიექტურ გაცნობიერებას, რაც შეიძლება განაპირობებდეს ისეთი განცდების განვითარებას, როგორებიცაა სტიგმატიზაციის შიში, თვითგახსნასთან დაკავშირებული შფოთვა ანდა დისტრესი პირად ურთიერთობებში.

სტიგმის ინტრაპერსონალური ასპექტების კიდევ უფრო მეტი ურთიერთგადამკვეთი დეფინიცია გვხვდება სილარიზის აღქმული სტიგმის შესახებ არსებულ კვლევებში. მაგალითად, სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართული პირების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაში შტუბერმა და შლეზინგერმა (Stuber and Schlesinger (2006) გამოყვეს სტიგმის ორი ფორმა: იდენტობის სტიგმა (რაც განისაზღვრებოდა, როგორც ნეგატიური სტერეოტიპების ინტერნალიზება) და მოპყრობასთან დაკავშირებული სტიგმა (treatment stigma) (რომელიც გულისხმობს იმის შიშს, რომ სხვები ცუდად მოგეპყრობიან). როგორც ვხედავთ, ეს ავტორები იდენტობის სტიგმას ინტერნალიზებულ სტიგმას უიგივებენ, ნეგატიური მოპყრობის შიში კი სტიგმის ცალკე სახეაა გამოყოფილი. ქრისტინა მიკელსონი და სტესი უილიამსი თავიანთ კვლევებში სილარიზის აღქმული სტიგმის ორ განზომილებას გამოარჩევენ: 1) სტიგმის ინტერნალიზება/ინტერნალიზებული სტიგმა: გულისხმობენ სილარიზესთან დაკავშირებული ისეთი ნეგატიური განცდების ქონას, როგორებიცაა სირცხვილი, შეცბუნება ან საკუთარი თავის განსხვავებულად აღქმა; 2) ნეგატიური მოპყრობის აღქმა/აღქმული ნეგატიური მოპყრობა (experienced stigma). ეს უკანასკნელი გულისხმობს ინდივიდის ზოგად აღქმას მის მიმართ განხორციელებულ მასტიგმატიზებელ მოქმედებებთან დაკავშირებით.

სტიგმის ინტრაპერსონალური ასპექტების სხვადასხვანაირი სახელდება და ურთიერთგადამკვეთი შინაარსი ხელს არ უშლის სტიგმის ინტერნალიზების პროცესის აღწერას. პირიქით, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო თვალსაჩინოს გახდის პიროვნების მიერ სტიგმის აღქმის იმ მახასიათებლებს, რომელთა გადმოცემასაც ისახავდნენ მიზნად ავტორები ზემოთ აღწერილი ტერმინების შემოტანით. სტიგმის შეთვისების პროცესის აღსაწერად საფეხურებრივ მოდელს წარმოადგენენ კორიგანი და რაო (Corrigan & Rao, 2013). ავტორების მიხედვით, თავდაპირველად ინდივიდმა უნდა იცოდეს/გააცნობიეროს საჯარო სტიგმის არსებობა, შემდეგ დაეთანხმოს/აღიაროს/მიიღოს, დაუკავშიროს საკუთარ თავს და შეითვისოს არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები. ყველაფერ ამას კი მოჰყვება თვითღიერებულების დამცრობა და საზოგადოებისაგან გარიყვა. კორიგანის და რაოს (2013) მიერ აღწერილი ეს მოდელი „რატომ ვეცადო“ ეფექტის სახელითაა (“why try” effect) ცნობილი და მოდიფიცირებული იარლიყების თეორიას ეყრდნობა. იარლიყების თეორიის მიხედვით, ინდივიდებისათვის რაიმე სახელის შერქმევამ/იარლიყების მიკვრამ შეიძლება იმოქმედოს მათ

ქცევასა და განცდებზე. მოდიფიცირებული იარლიყების თეორია სტიგმას თავად სტიგმატიზებულთა პერსპექტივიებიდან განიხილავს და აქცენტს მათ გამოცდილებაზე სვამს (Link at al, 1989). სახელწოდება „რატომ ვეცადო“ გამოხატავს ნეგატიური დამოკიდებულების მიღებისა და შეთვისების იმ შედეგს, როდესაც პიროვნება იჯერებს მის მიმართ გამოთქმულ მადისკრედიტებელ გამონათქვამებს და საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად კი აღარ იბრძვის, არამედ სრულიად პასიური ხდება.

აღსანიშნავია, რომ სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმის შესახებ არსებული კვლევების უმეტესობა აშშ-შია ჩატარებული, უმეტესად, ლარიბმარტონელამშობლებზე, რომლებიც სახელმწიფო დახმარების პროგრამებში იღებენ მონაწილეობას (McCormack, 2004; Nelson, 2002; Seccombe, 1999; Stuber and Schlesinger, 2006). მაგალითად, სტუბერისა და შლენგინგერის კვლევაში გამოვლინდა, რომ სახელმწიფო დახმარების პროგრამებში მონაწილეობა ორი სახის სტიგმის წყარო შეიძლება გახდეს: პირველი - ესაა იდენტობის სტიგმა, რაც გულისხმობდა იმას, რომ კვლევის მონაწილეები ითვისებდნენ ნეგატიურ სტერეოტიპებს; მეორე კი იყო მოპყრობასთან დაკავშირებული სტიგმა (Treatment Stigma), რაც გულისხმობდა ნეგატიურად მოყრობის შიშს. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ლარიბები სტიგმას განიცდიან როგორც სააგენტოების მომსახურე პერსონალისაგან, ისე საზოგადოებისაგან (Stuber and Schlesinger, 2006).

### კვლევის მეთოდოლოგია

აღქმული სტიგმისა და მისი განზომილებების შესასწავლად კვლევის შერეული მეთოდოლოგია გამოვიყენეთ. თავდაპირველად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა იმის გასარკვევად, განიცდება თუ არა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმა ქართულ პოპულაციაში. ამას გარდა, თვისებრივი კვლევისას გამოვლენილმა თემებმა შესასწავლი კონსტრუქტის შინაარსობრივად უკეთ დახასიათების შესაძლებლობა მოგვცა. გავარკვიეთ, ხასიათდებოდა თუ არა აღქმული სტიგმა კვლევის მოცემულ კონტექსტშიც იმავე განზომილებებით/ასპექტებით, როგორც ეს აღქმული სტიგმის თეორიულ მოდელებსა და კვლევებშია წარმოდგენილი. აღქმული სტიგმის მოდელში აღქმული ნეგატიური მოპყრობისა და სტიგმის ინტერნალიზების განზომილებების გამოყოფას უკვე საკმაო ემპირიული საფუძველი აქვს (მაგალითად, Pryor & Reeder, 2011; Herek, 2007; 2009; Jacoby, 1994; Scambler, 2004; Mickelson, 2001); თუმცა თითოეული მასტიგმატიზებელი ნიშნის მიმართ აღქმული სტიგმის ასპექტები/განზომილებები შინაარსობრივად შეიძლება განსხვავდებოდეს; ვგულისხმობთ იმას, რომ, მაგალითად, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლის მიერ აღქმული დისკრიმინაციის შემთხვევები და მიწერილი სტერეოტიპები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პიროვნების სტიგმის აღქმისაგან. მეტიც: ვფიქრობთ, ერთი და იმავე ტიპის სტიგმის შესწავლის დროსაც ფენომენის კროსკულტურულად უნივერსალურმა გაგებამ უნდა შეგვაეჭვოს (განსაკუთრებით კი, კონკრეტულ ჯგუფთან დაკავშირებული სტიგმის სახემ - ჯგუფურმა სტიგმამ), რადგან სოციალური რეპრეზენტაციებისაგან გენერირებულ კონსტრუქტს განვიხილავთ. აღნიშნული საკითხი, ბუნებრივია, უკავშირდება სხვა

ქვეყანაში მცხოვრებ ღარიბთა ჯგუფების აღქმული სტიგმის გასაზომი სკალის საქართველოში გამოყენებასთან დაკავშირებული ვალიდობის პრობლემასაც. აქედან გამომდინარე, ამ კვლევისას, თვისებრივ კვლევაზე დაფუძნებით, შეიქმნა დებულებები აღქმული სტიგმის გასაზომი სკალის კონსტრუირებისათვის. დებულებების ექსპერტული შეფასების შემდეგ კი, სკალის პილოტირებისა და დახვეწის მიზნით, რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა.

მონაცემების შეგროვების თვისებრივი მეთოდებიდან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება ყველაზე მიზანშეწონილ მეთოდად მივიჩნიეთ. სიღრმისეული ინტერვიუს წარმართვისათვის წინასწარ მომზადდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი. ინტერვიუ მიმდინარეობდა საშუალოდ 30-40 წუთის განმავლობაში. კვლევა განხორციელდა კვლევის ეთიკის პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

სულ ჩატარდა 17 სიღრმისეული ინტერვიუ. ყველა რესპონდენტი რეგისტრირებული იყო „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. გამოსაკითხი ერთობლიობის წევრები სპეციალურ და რთულად ხელმისაწვდომ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რის გამოც, ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შერჩევის არაალბათური მეთოდების გამოყენება: მიზნობრივი ანუ შეფასებითი შერჩევა და სტიქიური შერჩევა (წულაძე, 2008). რესპონდენტების მოსაძიებლად გამოვიყენეთ ე.წ. თოვლის გუნდის პრინციპი.

მონაცემების გასაანალიზებლად ავირჩიეთ თემატური ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომა. კვლევისას წინასწარ განვსაზღვრეთ, აღქმული სტიგმის რომელი ასპექტი/განზომილება გვინტერესებდა ინტერვიუების ანალიზისას, ამიტომ თემების გამოვლენის პროცესი უმეტესად დედუქციურ ხასიათს ატარებდა. გამოვლენილი თემების სანდობის შემოწმების მიზნით 11 ტრანსკრიპტი გასაანალიზებლად გადავეცით დამოუკიდებელ მკვლევარს. პროგრამა SPSS 21-ში კოდირებულ ფრაზებს შორის გამოვთვალეთ კაპას კოეფიციენტი. შემფასებლებს შორის თანხმობის მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა,  $kappa = .74, p < .05$ .

კვლევის რაოდენობრივ ნაწილში სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის სკალის მახასიათებლები გაანალიზდა 263 რესპონდენტის მონაცემზე დაყრდნობით (184 ქალი, 79 მამაკაცი, საშუალო ასაკი - 44,4; SD=16.5). ყველა მათგანი რეგისტრირებული იყო „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“.

**აღქმული სტიგმის სკალის კონსტრუირების ეტაპები:** 1) დებულებების შემუშავება - ქრისტინა მიკელსონის სიღარიბის აღქმული სტიგმის სკალიდან (Perceived Stigma of Poverty, Mickelson, 2001), თავად ავტორის ნებართვით, მოდიფიცირდა ხუთი დებულება, ხოლო, ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდა და დაემატა დანარჩენი 17 დებულება (სულ - 22). რესპონდენტებს დებულებებისადმი თანხმობის ხარისხი უნდა შეეფასებინათ ერთიდან შვიდბალიან სკალაზე. ქრისტინა მიკელსონის სკალაში გამოყოფილია ორი განზომილება - ნეგატიური მოპყრობის აღქმა (experienced/enacted stigma) და სტიგმის ინტერნალიზება (internalized stigma). სტიგმისა და სტიგმის სხვა სახეების დეფინიციების მიმოხილვისა და თვისებრივი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ინტერნალიზებული სტიგმის განზომილებას დავუმატეთ აღქმული სტერეოტიპებისადმი თანხმობის ელემენტიც. ეს ასპექტი მიკელსონისა და სხვა ავტორების აღქმული სტიგმის სკალებში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული

(მაგალითად, გათვალისწინებულია Li Li, Sung-Jae Lee, Panithee Thammawijaya, Chuleeporn Jiraphongsa & Mary Jane Rotheram-Borus-ის მიერ 2010 წლის ნაშრომში, რომელიც ეხება აივ ინფექციის მქონე ადამიანების ინტერნალიზებული სტიგმის შესწავლას). თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტერნალიზებულ სტიგმაში არა მხოლოდ დაბალ სოციალურ სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური ემოციების ინტერნალიზება, არამედ სტიგმატიზებულ სოციალურ იდენტობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების მიღება/გაზიარებაც შეიძლება შედიოდეს. ამიტომ შევიტანეთ აღნიშნული ასპექტი ინტერნალიზებული სტიგმის განზომილებაში. 2) დებულებების ექსპერტული შეფასება - სკალის შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით, თითოეული სკალა შეაფასა ათმა ექსპერტმა, რომლებიც სოციალურ ფსიქოლოგიაში, პიროვნების ფსიქოლოგიაში, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიის სხვა კონცენტრაციებში მეცნიერულ კვლევებს ატარებენ. ექსპერტებს ვთხოვდით, გადაეწყვიტათ, რომელ განზომილებას ასახავდა ყველაზე მეტად თითოეული დებულება; შემდეგ კი დებულების განზომილებასთან შესაბამისობის ხარისხი ერთიდან შვიდბალიან სკალაზე შეეფასებინათ. ექსპერტთა შეფასებები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 21. ამის შედეგად, ამ ეტაპზე აღქმული სტიგმის სკალის ყველა დებულება შენარჩუნდა; 3) საპილოტე კვლევა - საპილოტე კვლევისას ჩატარდა ახსნითი („ექსპლორატორული“) ფაქტორული ანალიზი და გაანალიზდა დებულებების შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი.

## კვლევის შედეგები

ზემოთ აღნიშნულია, რომ ვეყრდნობით აღქმული სტიგმის მოდელებს, რომლებშიც შემდეგი ორი ასპექტი/განზომილება გამოიყოფა: ნეგატიური მოპყრობის აღქმა (enacted stigma/experienced stigma) და სტიგმის ინტერნალიზება (Internalized stigma). ინტერვიუების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობა აღიქვამს, რომ საზოგადოებაში მათ მიმართ სტიგმა არსებობს. ამასთან, კვლევის მოცემულ კონტექსტშიც გამოვლინდა სტიგმის აღქმის ზემოთ აღნიშნული ორი ასპექტი.

### ნეგატიური მოპყრობის აღქმა

ნეგატიური მოპყრობის აღქმასთან დაკავშირებული თემა გულისხმობს სოციალურად დაუცველის სტატუსის გამო სხვების მიერ გამოვლენილი დისკრიმინაციის ან სხვა რაიმე სახის ნეგატიური დამოკიდებულების აღქმის შემთხვევებს. ამ თემამ გააერთიანა შინაარსები, რომლებშიც გადმოცემულია რესპონდენტების უშუალო მასტიგმატიზებელი გამოცდილება.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები აღნიშნავენ სხვების მიერ დამამცირებელი მოპყრობისა და დამოკიდებულების შემთხვევებს. ისინი მიუთითებენ საზოგადოების სხვა წევრების მიერ მათი გარიყვის, მათთან კონტაქტისაგან თავის არიდების შემთხვევებზე. ასეთ სოციალურ ექსკლუზიას კი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრებას, დაბალ სოციოეკონომიკურ სტატუსს და ფულისა თუ სხვა მატერიალური ნივთების არქონას უკავშირებენ.

„არის ისეთი ხალხი, აი, არა აქვს და დასცინიან. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. ამის კლასში ყოფილა, რომ არა აქვს, მოდი, არ დავუძახოთ. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. მეთქი აუხსენი შვილო, რომ ეს არ არის სასაცილო. არა მაქვს?! რა უნდა დაგცინონ ან რაღაცა“ (მდედრ, 44 წლის).

რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ „ზემოდან ყურების“ შემთხვევებს, რასაც უკავშირდება დამამცირებელი დამოკიდებულება, მათი დაბალ ფენად მიჩნევა. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების აღქმით, მათი სტატუსის სხვებისათვის დამაკნინებლად მიიჩნევა.

„ზემოდან ყურების შემთხვევებია. შენ სოციალურად დაუცველი ხარ და ესა და ის და მაინც იქიდან, შორიდან გვიყურებენ რა. ახლა, რომ შეხედავ ადამიანს და ისეთნაირად შემოგხედავს, ეხლა იმას სიტყვიერად რაღად უნდა, რომ დაგამცირათ, ხო?! ასეთი შეხედვები აქვთ“ (მდედრ, 55).

სტიგმის აღქმის მოცემული ასპექტი ავლენს ისეთ თემებს, რომლებიც სტიგმის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. გვულისხმობთ, მასტიგმატიზებული ნიშნის ქონის გამო სხვა პიროვნული მახასიათებლების გაუფასურების, დაკნინების, ნეგატიურად შეფასების შემთხვევებს. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების წევრების დამოკიდებულება მათ მიმართ იცვლება მას შემდეგ, რაც გაიგებენ, რომ აღნიშნული სტატუსის მატარებლები არიან. მათი აღქმით, ამის შემდეგ ხალხი ნაკლებად აფასებს მათ პიროვნულ მახასიათებლებს, განათლების დონესა თუ სხვა შესაძლებლობებს.

„ისინი უფრო ზემოდან იყურებიან. გამიგია, ვთქვათ, სასადილოში რო რაღაც აგვიღია, უიმე, როგორ აიღეს და ესეთი რაღაცები, იმათი გამომცხვარი პური როგორ უნდა იჭამოს და ესეთი რაღაცები (მდედრ, 37 წლის)“.

სტიგმის დეფინიციებში მითითებულია, რომ სტიგმას ხშირად ერთვის ვირტუალურ/სოციუმში კონსტრუირებულ სტიგმატიზებულ იდენტობასა და აქტუალურ პიროვნულ იდენტობას შორის განსვლა. ამის მაგალითები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტების ნარატივშიც შეინიშნება. ისინი მიუთითებენ საზოგადოების წევრების წარმოდგენაზე, რომლის მიხედვითაც, სოციალურად დაუცველები უსუფთაო, „ბინძურ“, გაუნათლებელ, „ცუდად განვითარებულ“ პიროვნებებად მიიჩნევიან. რესპონდენტები აღნიშნულ სტერეოტიპებს არ იზიარებენ, რაც ვირტუალურ და აქტუალურ იდენტობებს შორის არაკონგრუენტულობის მაჩვენებელია.

„ზოგადად, ერთადერთი, რაც ყოველთვის ძალიან ცუდად მხვდება გულზე, არის, რომ სოციალურად დაუცველი აუცილებლად ჰგონიათ ბინძური ადამიანები. ანუ, ბინძური, სახლი დაულაგებელი და რაღაც. მართლა ეგეთი ჰგონიათ, დაუბანელი თუ რაღაც ასეთი. მაგრამ, მე თუ ცუდი სახლი მაქვს, არ ნიშნავს იმას, რომ დაულაგებელ სახლში ვცხოვრობ, გაურეცხავი ტანსაცმელი მაცვია და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ ვცხოვრობ პატარა და გაურემონტებელ სახლში, თორემ ... სხვა დანარჩენი ისეთი არაფერი“ (მდედრ, 19 წლის).

ასე რომ, სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური მოპყრობის აღქმის თემა მოიცავს სტატუსთან დაკავშირებული დისკრიმინაციისა თუ სხვა დამამცირებელი დამოკიდებულების გამოცდილებას; აგრეთვე, მასტიგმატიზებულ სტატუსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნეგატიური რწმენის არსებობას.

## სტიგმის ინტერნალიზება

აღქმული სტიგმის მეორე ასპექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია, სტიგმის ინტერნალიზება და მასთან დაკავშირებით გამოვლენილი თემებია. სტიგმის ინტერნალიზება გულისხმობს მასტიგმატიზებელი გამოცდილებებისათვის ემოციური მნიშვნელობის მინიჭებას, სტიგმის ემოციურ დონეზე განცდას, რასაც ერთვის სირცხვილის, ნერვიულობის, მომავალში პოტენციური დამცირების შიში, დაბნეულობა, თვითიზოლაცია. აღნიშნული სახის ნეგატიურ ემოციურ რეაქციებთან ერთად ადამიანმა შეიძლება დაიწყოს აღქმული ნეგატიური სტერეოტიპების გაზიარება. ასეთი შეთვისების სტიგმა უკვე სელფის დონეზე განიცდება.

როგორც ტრანსკრიპტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები, ერთი მხრივ, შეიძლება იხსენებდნენ ნეგატიური მოპყრობის და დამცირების შემთხვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერნალიზების შემთხვევაში ამ გამოცდილებას თავიანთ სირცხვილად, თავმოყვარეობის შელახვად და საკუთარი თავის „დაბალ დონეზე“ დაცემად მიიჩნევენ.

*„მაგრამ, შევამჩნიე, იცით რა, რომ უკვე დაბალ დონეზე დავედი და გული მტკივა. მე თვითონ ვიგრძენი, რომ ერთით კი არა, რამდენიმე საფეხურით ქვევით ჩავედი“ (მდედრ, 57).*

სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონის გამო, ნეგატიური მნიშვნელობის თავად სტატუსის მატარებლის მიერ მინიჭებას თან ახლავს ნერვიულობა და სხვა უარყოფითი ემოცია. რესპონდენტები ხშირად მიუთითებენ დაბნეულობის, შიშის, გულისტკივილის შესახებ. მსგავსი ნეგატიური ემოციები შეიძლება ინვევდეს პიროვნულ გაუფასურებასთან, თვითღირებულების დამცრობასთან დაკავშირებულ განცდას. ასეთ შემთხვევაში სოციალურად დაუცველის სტატუსი დეგრადირებულის მნიშვნელობას იძენს.

შეთვისებული ნეგატიური აზრები და ემოციები შეიძლება უკავშირდებოდეს თვითიზოლაციასაც. ინტერვიუებში გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე შეიძლება თავს არიდებდეს საზოგადოების სხვა წევრებთან კონტაქტს, მოსალოდნელი ნეგატიური მოპყრობის გამო. ამ დროს მათში ინტერნალიზებულია პოტენციური უარყოფისა და სტიგმატიზაციის მოლოდინი.

*„რამდენჯერ ყოფილა, ვიტყვი. აი, რატომ?! რისთვის?! ყოფილა ეგეთი რამე, რომ დავწვები და, ნერვიულობის გამო, არც მიძინია, ისე გავათენებ, ვფიქრობ, აი, ახლა დილა რო ვათენდება, ახლა ხო რაღაცას არ მეტყვიან. შიშითა ვარ. რაღაც შიში მაქვს. აი, როგორ იქნება...“ (მდედრ, 44 წლის).*

მაშასადამე, სტიგმის ინტერნალიზების დეფინიციის რელევანტური თემები ცალსახად გამოავლინა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტთა ინტერვიუებმა.

### სკალის ფაქტორული ანალიზის შედეგები: პრინციპული კომპონენტების ანალიზი (PCA)

22 დებულების ფაქტორული ანალიზი განხორციელდა პრინციპული კომპონენტების ანალიზის ტექნიკით პროგრამა SPSS 21-ში. პრინციპული კომპონენტების ანალიზის გამოყენებისათვის მონაცემების შესაბამისობა შემოწმდა. კორელაციების ცხრილმა აჩვენა, რომ 0.3 და მასზე მეტი კორელაციის კოეფიციენტი ფიქსირდებოდა. Kaiser-Meyer-Olkin (KMO) = .9, რაც რეკომენდებულ მაჩვენებელზე - 0.6-ზე მაღალია (Pallant, 2013). სტატისტიკურად მნიშვნელოვანია Bartlett's test of sphericity,  $p < .05$ , რაც ადასტურებს მონაცემების ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობას. ფაქტორების რაოდენობის შესახებ დასკვნის გამოსატანად დავეყრდენით Kaiser's criterion (eigenvalues 1-ზე მაღალი), screeplot-ის გრაფიკს, ამასთანავე, ჩავატარეთ parallel analysis (Monte Carlo PA), რამაც ასევე აჩვენა, რომ იმავე ზომის შემთხვევით გენერირებული მონაცემებიდან მხოლოდ ორი კომპონენტის eigenvalue აღემატებოდა შესაბამის კრიტერიულ მნიშვნელობას (22 ცვლადი, 263 რესპონდენტი).

გამოყოფილი ორი ფაქტორი ხსნიდა ვარიანტობის 44.9%-ს (37%, 7.96%). გარკვეული დებულებების ამოღების მერე ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მან მიაღწია 48.5%-ს (38.7%, 9.7%). გამოყოფილი ორი ფაქტორის ინტერპრეტაციის მიზნით, განხორციელდა oblimin rotation, რისი ანალიზის შედეგადაც სკალიდან ამოვიღეთ ხუთი დებულება. მე-3 და მე-15 დებულებები არცერთ ფაქტორს არ შეესაბამებოდა (*არასოდეს მიგრძენია თავი დამცირებულად იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს; ვფიქრობ, სხვა ადამიანები სწორად ფიქრობენ იმის შესახებ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეები ზარმაცები არიან*). მე-14 დებულებას ყველაზე დაბალი ფაქტორული წონა ჰქონდა (.3) – (*ალარმჯერა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსს ოდესმე თავს დავაღწევ*). ასევე, სკალიდან იქნა ამოღებული ორი ორმაგი დატვირთვის მქონე დებულებაც; კერძოდ, მე-16 დებულება (*ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვებს ჩემთან ურთიერთობისთვის თავი აურიდებიათ იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს* - .5 და .3 ფაქტორული წონებით) და მე-18 დებულება (თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ ვგრძნობ იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს, .47 და .32 ფაქტორული წონებით). ამის შედეგად, სკალაში დარჩა 17 დებულება. დებულებები მოცემულ ორ კომპონენტზე საკმაოდ მაღალი ფაქტორული წონით განლაგდა. ფაქტორებს შორის საშუალო სიძლიერის კორელაცია გამოვლინდა ( $r = .49$ ). პრინციპული კომპონენტების ანალიზმა გამოავლინა სკალის ორფაქტორიანი სტრუქტურა: ერთს ნათლად შეესაბამება ნეგატიური მოპყრობის აღქმის შინაარსის ამსახველი დებულებები, მეორეს კი - სტიგმის ინტერნალიზებისა.

**ცხრილი 1:** სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის სკალა: **Pattern & Structure Matrix**, პრინციპული კომპონენტების ანალიზი (1 - ნეგატიური მოპყრობის აღქმა, 2 - სტიგმის ინტერნალიზება; ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად. დებულებები მოცემულია შემოკლებულად)

დებულება	Pattern coefficients		Structure coefficients		Communalities
	1	2	1	2	
გამიგია, რომ ადამიანები ზურგსუკან ჩემზე უარყოფითად საუბრობენ	<b>.850</b>	-.083	<b>.809</b>	.333	.660
ადამიანები ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ ჩემდამი	<b>.826</b>	-.104	<b>.775</b>	.301	.610
პირადად ჩემთვის დაუცინიათ	<b>.763</b>	-.023	<b>.752</b>	.350	.566
სხვა ადამიანების თანასწორად არ მექცევიან	<b>.716</b>	-.009	<b>.712</b>	.341	.507
მეშინია, რომ სხვებმა შეურაცხყოფა არ მომაყენონ	<b>.662</b>	.017	<b>.684</b>	.396	.450
სხვები ზემოდან მიყურებენ	<b>.645</b>	.080	<b>.670</b>	.341	.473
ოჯახის წევრი განერვიულებული მოსულა	<b>.628</b>	.053	<b>.661</b>	.456	.429
მირჩევნია, რომ გარეთ სხვებს ნაკლებად ვეკონტაქტო.	<b>.578</b>	.097	<b>.654</b>	.360	.398
ადამიანებს ჩემი მოტყუება უცდიათ	<b>.576</b>	.174	<b>.625</b>	.380	.460
სხვებს უმეტესად ვეთანხმები, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები მათთან შედარებით გაუნათლებლები არიან.	.004	<b>.792</b>	.391	<b>.793</b>	.630
თავს ზოგჯერ დამნაშავედ ვგრძნობ	.015	<b>.745</b>	.380	<b>.753</b>	.567
მართალია, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებს წარმატების მიღწევა ნაკლებად შეუძლიათ	.023	<b>.684</b>	.358	<b>.695</b>	.484

აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა...

თავს საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებულად ვგრძნობ	.195	<b>.638</b>	.507	<b>.733</b>	.567
ხანდახან მრცხვენია იმის გამო, რომ	.085	<b>.629</b>	.393	<b>.670</b>	.455
იმ ადამიანებს გარკვეულწილად ვეთანხმები, რომლებსაც დაუცველის სტატუსის მქონეები უსუფთაოები ჰგონიათ.	.256	<b>.483</b>	.492	<b>.608</b>	.419
მირჩევნია სხვებმა არ გაიგონ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს.	.276	<b>.464</b>	.503	<b>.599</b>	.417
არ ვნერვიულობ, რომ სოციალურად დაუცველთა ჯგუფს მივეკუთვნები.	-.123	<b>.449</b>	.097	<b>.389</b>	.162

### სკალის სანდოობისა და აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები

მთლიანი სკალისა და მისი ცალკეული განზომილებების სანდოობის ანალიზმა ცხადყო საკმაოდ მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის მთლიანი სკალის შემთხვევაში  $\alpha=.89$ ; (17 დებულება); ნეგატიური მოპყრობის აღქმის ქვესკალის  $\alpha=.87$  (9 დებულება), ხოლო სტიგმის ინტერნალიზების  $\alpha=.81$  (8 დებულება).

ნეგატიური მოპყრობის აღქმისა და სტიგმის ინტერნალიზების განზომილებებზე ქულები ვარიირებდა 1-დან 7-მდე, ( $M=2.7$ ,  $SD=1.5$ ;  $M=3.4$ ,  $SD=1.5$ ). მთლიანად სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმის სტიგმის სკალის შემთხვევაშიც ქულები იცვლებოდა 1-დან 7-მდე ( $M=3$ ,  $SD=1.3$ ).

### დასკვნები და კვლევის შეზღუდვა

საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის შემთხვევაშიც გამოვლინდა ხელმოკლე ცხოვრებასთან დაკავშირებული მასტიგმატიზებული გამოცდილება და სტიგმის ინტერნალიზება. ამასთანავე, სიღარიბესთან დაკავშირებული აღქმული სტიგმის გასაზომი სხვა ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, სკალას დაემატა სტერეოტიპების დათანხმების ამსახველი დებულებებიც. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ თეორიული მსჯელობის საფუძველზე განვითარებულ ვარაუდებს, ინტერვიუების თემატური ანალიზის შედეგებსა და დებულებების ექსპერტულ შეფასებებს შეესაბამება პრინციპული კომპონენტების ანალიზის შედეგები. კერძოდ, სტერეოტიპებისადმი თანხ-

მოზის ამსახველი დებულებები სტიგმის ინტერნალიზების ფაქტორში გაერთიანდა. აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესახებ წინარე კვლევებისა და ჩვენი ვარაუდისაგან განსხვავებით, ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებაში მოექცა მომავალში შესაძლო/წინასწარ განჭვრეტილი სტიგმატიზაციის შიშის ამსახველი დებულებები (*მეშინია, რომ სხვებმა შეურაცხყოფა არ მომაყენონ; მირჩევნია, რომ გარეთ სხვებს ნაკლებად ვეკონტაქტო*). მაგალითად, ჰერეკი, გილი, კოგანი და სხვები (2009) მოსალოდნელი სტიგმატიზაციის შიშს სტიგმის ემოციურ დონეზე განცდის, და არა მოქმედებაში აღქმულის, კატეგორიად გულისხმობენ. შტუბერმა და შლეზინგერმა (2006) კი საერთოდ ცალკე სახედ გამოყვეს ნეგატიური მოპყრობის შიში. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შემთხვევაში ლოგიკურობას არ კარგავს ის გარემოება, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებაში მოექცა მომავალში სტიგმატიზაციის წინასწარ განჭვრეტის შიში. მიღებული შედეგის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებაში კონცეპტუალურად ერთიანდება არა მხოლოდ წარსული და აწინდელი სტიგმატიზაციის გამოცდილება, არამედ მომავალში შესაძლო ნეგატიური მოპყრობისა და დამცირების წარმოსახვაც.

მოცემული კვლევის ფარგლებში საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის მაგალითზე აღქმული სტიგმის შესწავლა მნიშვნელოვანია მოცემული კონსტრუქტის შესახებ თეორიული და ემპირიული დასკვნების დამატებისა და გამდიდრების თვალსაზრისით. ამასთანავე, შექმნილი ინსტრუმენტი ხელმოკლე ადამიანების აღქმული სტიგმის შესახებ მომავალში მრავალფეროვანი კვლევების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევა მნიშვნელოვნად შეზღუდა იმ გარემოებამ, რომ ამ ეტაპზე, ტექნიკური ხარვეზების გათვალისწინებით, ვერ მოხერხდა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის ჩატარება და შედეგების სტატისტიკური წარმოდგენა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Arjan E. R. Bos , John B. Pryor , Glenn D. Reeder & Sarah E. Stutterheim (2013): Stigma: Advances in Theory and Research, Basic and Applied Social Psychology, 35:1, 1-9.
- Frost, D. M. (2011). Social stigma and its consequences for the socially stigmatized. Social and Personality Psychology Compass, 5(11), 824-839. DOI: 10.1111/j.1751-9004.2011.00394.x.
- Hardesty, D. M., & Bearden W.O. The use of expert judges in scale development Implications for improving face validity of measures of unobservable constructs. Journal of Business Research 57 (2004), 98– 107.
- Herek, G. M., Gillis, J. R., & Cogan, J. C. (2009). Internalized stigma among sexual minority adults: Insights from a social psychological perspective. Journal of Counseling Psychology, 56(1), 32– 43. <https://doi.org/10.1037/a0014672>.
- Hinkin, T. R., Tracey, J. B., & Enz, C. A. (1997). Scale construction: Developing reliable and valid measurement instruments[Electronicversion]. Retrieved from Cornell University, School of Hotel Administration site: <http://scholarship.sha.cornell.edu/articles/613>.
- Mickelson, K. D & Williams S.L (2008). Journal of Social and Clinical Psychology, 27 (9), 903-930

- Mickelson, K. D. (2001). Perceived stigma, social support, and depression. *Personality and Social Psychology Bulletin*, 27, 1046–1056.
- Pallant, J. (2013). *SPSS survival manual : a step by step guide to data analysis using SPSS*. Maidenhead :Open University Press/McGraw-Hill.
- Vaismoradi, M., Turunen, H., & Bondas, T. (2013). Content analysis and thematic analysis: Implications for conducting a qualitative descriptive study. *Nursing and Health Sciences*, 15, 398–405.
- Syed, M. & Nelson. S (2015). Guidelines for Establishing Reliability When Coding Narrative Data. Society for the Study of Emerging Adulthood and SAGE Publications Reprints and permission: [sagepub.com/journalsPermissions.nav](http://sagepub.com/journalsPermissions.nav) DOI: 10.1177/2167696815587648.
- ნულაძე, ლ. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თბილისი.

# PERCEIVED STIGMA IN THE GEORGIAN POPULATION WITH SOCIAL VULNERABILITY STATUS

**Nazi Pharsadanishvili**

*Tbilisi State University*

**Anastasia Kitiashvili**

*Tbilisi State University*

## **Abstract**

